



† თევდორე დავითის ძე ჟორდანი.
დაიბადა 1854 წ. აპრილის 20, გარდაიცვალა 1916 წლის
დეკემბრის 22).
(იხ. „საქართველოს“ დღევანდელი №).

ნათავ ვიწოდ

ვით მოციმციმი ბედისა ვარსკვლავს
თვალს არ ვაშორებ, როდესაც ვხედავ,
ვუახლოვდები მის კარ-მიდამოს,
სახლში კი მისვლას ველარა ვბედავ.

იქ ჩემი ტურფა ხატს უნთებს სანთლებს;
სტირის, ქვითინებს, ცრემლებად დნება;
ნეტავ, რა სევდა აწუხებს ბის გულს,
ნეტავ ვიცოდე, ვინ აგონდება!..

ქნარი.

მარტოობის ჟამს

მარტოობის ჟამს, ჟამს გოდების და ცრემლის, ფრქვევის,
როს ჩემსა გულსა სევდის ჩრდილი გარდეთარება,
და სულით ობოლს, დავიწყებულს, მწარედ მომთქმელსა
არსაიდგანა ნუგეშის ხმა არ მცყურება.

ოდეს მარტოდ მყოფს არავინ მყავს თანამგრძობელი,
მწუხარე სული მწარედ მოსთქვამს, ჰგოდებს, ვალალებს,
ოდეს აწმყოში ვერას ვხედავ სასიხარულოს
და მომავლისგან ველი მხოლოდ ტანჯვისა წამებს.

ოდეს ჩემს გულსა შვების სხივი არ ეფინება,
იმედის სხივი ჰქრება ჩემთვის უკანასკნელი,
ოდეს წამებულს ჩემს სიცოცხლეს ვუთვლი გმობასა
და სიკვდილს ვუხმობ, რომ მაღირსოს სამარე ბნელი,—

მაშინ მეწვიე, მეგობარო. სწორად სულისა,
გამომიწოდე ობლად შეთენილს ძმურად ხელი,
და კვლავ ედემად გარდმექცევა კრული ქვეყანა,
შემიყვარება კვლავ სიცოცხლე—ჩემი მტანჯველი.

ა. გაფრინდაშვილი.

გამოზაფხულდა...


გამოზაფხულდა... მთა ბარი მოირთო მწვანე კაბითა,
ბუჩქის ძირს ნაზი სოსანი ნამსა შესცინის კრძალვითა.

ტყე შეიფოთლა. ზეფირი თავსა ევლება მწვანე ველს
ღ ყვავილები გაშლილნი მიდამოს ჰფენენ ტკბილ სურნელს.

გამოზაფხულდა... კორდის ძირს მოშხუის ლაღად მდინარე,
ცის ცვარი ფოთოლს დაჰხარის, იღვიძებს მდელი მძინარე...

კვლავ მოიკაზმა ბუნება, აჰყვავდა მინდორ-ტყე-ველი
და გაჰქრა ჩემი გულისა მტანჯველი სევდა-ნაღველი!..

ა. გაფრინდაშვილი.



მატარებელი

სალამო ხანი.

ქართლის გაშლილ ველზე სწრაფად მისრიალებს მატარებელი. ეტყობა დავაებულზე ორთქლ-მავალსაც უხარია გაქროლება. ისე აღარა ქშინავს. აღარც გაქირვების შავი კვამლი გადმოსდის პირიდან. მხოლოდ ძლივ-დასანახი ლურჯი დოღბანდი ფრიალებს მის თავზე და ისიც თითქო გახარებული სწრაფად უერთდება ცის ეთერს. ორთქლ-მავალი რაღასაც ვათომდა ლმობიერს ბუბუნებს და ბორბლებიც თითქო ხმა-აქრფეთ მიგოგზინებს ორ თუჯის, მზისგან გაელვარებულს, გაქინულს ზოდზე.

ეს რითმიული ყრუ ბგერა წინსწრაფვისა თითქო მგზავრთაც გადადებიან და სიმშვიდეს მოუცავთ.

აღარ ისმის ერთი-მეორის დაჟვედრება, შიშხართი და სამგზავრო დავიდარება. ველარ ამჩნევთ ამღვრულ თვლებს, განხეცებულ სახეებს, მტრულ გამოხედვას.

მართალია დიდი ვიწროობაა, ადამიანებით „გუქნილია“ მატარებელი, მაგრამ ეტყობა ყველას მოუბოებია საყუდარი და „დასჯერებინ“ თვის ხედრსა“.

ერთგან, მესამე კლასში სამი ახალგაზრდა ჯარისკაცი მოდის ბძალის ველიდან დროებით დაუთხოვნიათ და ეხლა სამშობლოში დაბრუნებით გახარებულნი მთა-შეწყობილათ მღერიან რაღასაც სოფელურს, ძველს კილოზე.

მხოლოდ სიტყვებია ცოტა მოუხეშავი და თან ახალი.

სხვათა შორის ეს სიტყვები ამეღვენებენ იმ ამბავს, რომ

„ეს პრანჭია კოწია ჩვენს როტაში ჩამდგარა, თინას თვალში, სოფელში ცრემლი უხვად ჩამდგარა!“

მოსიღვრეების ახლო ერთი შეჭალარაგებული კაცი ზის. მია მალალ შებლს სევდის ნაოჭები ასხვია, ფერმკრთალ სახეზე გაქირვებასა და ტანჯვას თვისი გზები გაუკვალავს.

ეტყობა შორს არის აქედან. მიმქრალი, შავი თვალები სადღაც შორეულ სივრცეში ილუპებინან, მაგრამ აგერ დაეტყო, რომ ჯარისკაცთა სიმღერამ ჩააღწია მის სასმენელს.

სახე კიდე უფრო ელუშება. შუბლს ნაოჭები კიდევ უფრო იჯგუფებიან. ტურქებმაც კი ძლივ-დასანახი ორთოლად დაუწყო.

გუნება აუწრიალდა. იქით-აქით იხედება. თვალით ეძებს — გავლა ხომ შეიძლება! — ეტყობა უნდა გაცდეს ამ სამყოფელს.

წამოდგა კიდეც. ბოდიში მოიხადა ახლო მსხდომებთან და კარებისაკენ გაწია.

არსად არ არის დასადგომი. გავიდა ბაქანზე. იქაც სავსე, ხალხით, მაგრამ კარებთან შეიძლება მიდგომა. კონდუქტორი დგას. მას კი აღარ დაერიდა და გვერდში ამოუდგა, თან სახე კარების სარკმელს მიაპყრო.

აქ უფრო მძლავრად მოისმის ბორბლების გრიალი და ჯარისკაცთა სოფელური სიმღერა იფარება.

თითქო გულს მოეშვაო, სახე გაეშალა. კონდუქტორმა სრულიად დაუთმო ადკილი და ამან კიდე უფრო გაახარა — აი თავი გაპყო კიდევ გაღებულ

საბავშვო მარში გიორგი ხვანიძისა. ძღვნად „განათლების“ საზოგადოების საქალბო საოსტატო სემინარიის მოწაფეთ.

სარკმელში. მატარებლის გაკვეთილმა პაერმა სასიამოთ შემოუნიავა. სანახაობანი სცვლიან ერთი-მეორეს და აი მისი მგრძობელობა კვლავ სხვა ზვირთს მიჰყვება. მაგრამ ხან დახმ-თ, აქაც მოდის სიმღერის კილოვნება. და აი მისი გონების თვალის წინ იშლება წარსული ცხოვრების სურათები. ...ეგერ ფერდობა ეხო. ზედ ალმა-ცურად მდგომი ქობი და ქობის წინ საოჯახოთ მოფუსფუსე, ადრე დაქვრივებული საბრალო დედა-მისი. გაქირვება, გაქრვება, გაქრვება! თვითონვე გაპკიოდა მაშინ ესეთსავე სიმღერას მათი სოფლის ტალა ტყეში და... კარგს არაფერს აგონებს. — ტყუილია ეითომ წარსული ტებილი მოსაგონარი იყოს. ეს რომანტიკოსების შეთხუზულია... გაულებს თ ვში და კვლავ უფრო შავზნელი სურათები ეხატება მისი მწარე წარსულისა. აი სამაზრო სასწავლებელიც... ზერე-ლე და არის მიმტანი სწავლა; უსამართლო მოქცევა უფროსებისა და მისი გაძევება სკოლიდან. შემდეგ... შემდეგ ლოკმა-პურისათვის ბრძოლა ცხოვრებაში და ამ ბრძოლის დროს იქა-აქ ღრუბლიანში გამოსული მზის შუქი. ზრუნვა თვით-განვითარებისა. უფრო ღრმა შეცნობა ამ ქვეყნიურ უსამართლობისა. ესენი კი... მოძებნი? — მაშინაც ამ სიმღერას მღეროდნენ. თვითონ? — თვითონ უკვე ჩაშავებულს კაზემატებში ამოსდიოდა სული.

ველურია ეგ სიმღერა... მოძველებულია! სულ არ შეჭფერის დღევანდელ სულსა და გულს... ეგ ფოთოლთ შრიალი, ტყის ხმაურობა, წყაროს წანკარი... უღარდებლობა რაღაც... და სად შეედრება თუნდა აი ამ ბორბლების გრიალს, ამ თუჯების ტკრციალს, რომელშიაც გამოისმის დღევანდელ მქუხარე ცხოვრების მედგარი ხმები! — არ მიყვარს ქართული სიმღერა!... დაასკვნა მან დ... თითქო დამშვიდება. უკვე ტყუილა ცდილობდნენ ჯარისკაცთა სოფელური ხმები მის მიკარებას. მან უკვე ჯავშანი გადაიცვა. „ჩამდგარა... ჩამდგარა!“ შემოესმა აგრეთვე ერთს ვუუუნათვალედიან ახლგაზრდას. გაელიმა სატყვებმა გააციენს. კილოვნება საამუროდ ჩაეჭრა ყურებს. — ვინ არიან? რა კარგა მღერიან?! მეც რომ ვღეროდი ბავშვობისას?! — მამა ჩემი რომ წამიგდებდა ყანაში. გადაკომულ ტალაში მუშებისგან მოისმობდა ეს საამური კოლი და მეც მაშინ შევეჩვიე... თოხს ურტყამს მარჯვე, რკინის მკლავი, შავი მიწა ბელტბელტათ გადმოდის და ეს თოხისა და ბელტის კვეთება ადამიანის მუსიკაში ერთ-გვარ სახედ ნაკვეთიერდება... ამ სიმღერისა დასაბამიც შრომაა, მაგრამ შიგ სხვა ბუნების საკვირველებათა გამოხატვაც არის: აქ არის ფოთოლთ შრიალი, ტყის ხმაურობა, წყაროს წიქწიქ... და ესე ერთის გზით, ერთის მატარებლით მიდიოდნენ ეს ქაბუკი, ის წინამოაზროვნე, მომღერალი ჯარისკაცები და... სხვა მგზავრები თვით მატარებელი კი მისრიალებდა ქართლის ფართოდ გაშლილ მინდორზე. ორთქლ-მავალი ბუბუნებდა რაღაც ლმობიერს.

შალვა დადიანი.

უაგოდგომის სავდა

შენ განერიდე თვალთა ჩემთა და ვიგრძენ ობლობა მწარე... რძის გზაზედ გზედავ მოციალეს, ნახსურნელოვანს, სუმბულად გაშლილს, ვარსკვლავთა ჯარი შენს ირგვლივ სიხარულით ფერხულს აბავენ, ქებას გასხავენ!... შენ ხარ სალოცავი კერპი ჩემი, რომლისაგანაც სრულქმნილ სიცოცხლეს ველი!... ჩემს სიცოცხლეს, ტანჯვის ლეგენდას, შენ უსხავ მიზანს არსებობისთვის!... მე ვგზიარე შენა სულის წილს და ერთსულად ქმნილნი მარადისობის უღევსა გზაზედ ერთად ვიმგზავრებთ!... თვით სიკვდილიც ვერ დამავიწყებს შენს სიყვარულს და სამარეშიც საუკუნოდ ჩემთან სიცოცხლეს შენი სახე, ეგზომ გზნებარე!... შეგიყვარა შენ სულმა ჩემმა ესოდნ ძლიერ!... ხმოვანება შენი ჩანგის ჟღერაა ზზენაესი... ეგ სიცოცხლის მფრქვევი საფირის თვალნი არეს იის ფრად მოსავენ და შიგ ცხოვრების საიდუმლო სიყვარულის ზღაპარი იხატება!... ნახად ფურჩქენილნი ხრიზანტემები ტანისა რხევით მზის საგალობელს გიგალობენ... თან უხვად გამოსცემენ ღვთაებრივ სურნელებას შენს საყნოსავად! ყანდის სისხლოვან ატლასად ქსოვილი ბაგენი შენი, რომლიდან სიტყვა შარბათად მოსჩქეტს შეახე,



გიორგი ალექსის ძე პეტრიაშვილი.
(* ყოფილი წყევანილი გერმანიის)

ტურფავ, ჩემს დამწვარ ბაგეთ და და-
შიტკებ მწარე სიცოცხლის ღღინი..

შენის თვალთაგან გადმონადენ წმინ-
და ცრემლებით განმზანე და აღმად-
გინე ახალი ცხოვრებისათვის..

მისმინე... სული ჩემი შენსკენ ისწ-
რაფვის, სულისა სწორობა..

ძვირფასო მეგობარო! რად შეო-
მაქციე ზურგი და მომარიდე პარი
შენი მწუხარების ქაშს, ოდეს მჭირო-
და სიტყვა შენი გამთბარი, ალერსია-
ნი?! როს განვიციდი სულისა ტან-
ჯვას შენი სიტყვა რად არ ცხალბუნა
ჩემს გულს!..

და არ შემოწრე თვალთაგან ცრემ-
ლები მწველი, რომელიც ჩემს გულს
ცეცხლის ისრებად ესობოდა! გახსოვს,
მეგობრობას, ძმობას მეფიცებოდი?
სად გაქკრა, მითხარ, მალალი გრძნო-
ბა, უფაქიხისი?! ჩემი ცხოვრება, ტან-
ჯვის ზღაპარი წილად მხლოვია... და
მიყვები ეკლიან ბილიკს დასასრუ-
ლამდე!.. ნუ გაიკვირვებ, ჯერ შენ სი-
ცოცხლის გაზაფხული გეაღერება!..
მოვა დრო და მეც მაშინ გაგახსენდე-
ბი... ჩემს შემოდგომას ხეზედ კი ყვი-
თლად ელაგენ ფოთოლნი და შემომ-
ცინიან!..

მო, ჩემთან მეგობარო, პირს ნუ იბ-
რუნებ განწირულების ქაშს, ქაშს ტან-
ჯვისასა, შეიცნე სული ჩემი, ობლად
შეთენილი!.. დაქარავ ქაში და შენც
სავსებით განსტკვეტ ცხოვრების სი-
ღუბჭირეს, არარაობას!..

დასტკბი, ვიდრე სიყვარულის დალა
არ მოგღრუბლვია და ცხოვრებაც
ალერსიანად ომებს გიხუტუქტებს.

მეგობარო, მე კი ნუ მომთხოვ ნაზ სიმ-
ღერას სიყვარულისას, უცხოა ჩემ-
თვის!..

ნაღვლიანია ჩემი სიმღერა ვთ შე-
მოდგომის გაცრცენილნი ხენი და აწ
განვლილი ჩემგან ცხოვრების ბილიკი!..

ჩემს ბრმა ბედს მე კი გარღუქმნივარ
ჩემთა ტანჯვათა მომთქმელ-მომღერ-
ლად!.. მაშ, მოდი ჩემთან მეგობარო,
მომეცი ხელი! მო, მკერდს მიგკრა,
ნუ ილტვი ჩემგან, ობლობის ქაშსა...
მო, მასმინე ხმა შენი ტბილი, მსასო-
ებელი!..

ვ. ბუ—ი.

ცისკარი!

გაჟრს იცოდე როგორი არის ცის-
კარი?!

ყური დამიგდე:--

როდესაც მთვარე მოიქანცება, ვით
თვალეზი შეყვარებული ასულისა სა-
ტრფოს მოლოდინში; როცა შუქი
მთვარისა ციმციმს დაიწყებს, რო-
გორც მიღებული თაფლის სანთელი
ხევის მშობლის ხატის წინ და როცა
ვარსკვლავები მიმალვას იწყებენ ვით
მეთევზისაგან შეშინებული კალმახე-
ბი,— აღმოსავლეთით, ცხრა მთას იქით
შემიმჩნევია, რომ ცის კაბადონს ფარ-
და, ცის-ფერი ფარდა ჩამოსხნია..

ცის-ფერმა ფარდამ სრულიად და-
ფარა ვარსკვლავები და ნამგალა მთვარე
და იმით ნაცვლად ადგილი დაუ-
თმო მოწხებულელ ცეცხლს, რომელიც
თვალ-უწვდენელ მთების მწვერვალებს
ნელ-ნელა ედებდა.

მომხიბვლელი ცეცხლი ეს მზე არის
და ჯერ რცხენია, რომ მთვარის
ცრემლებით ნაკუთრებ ბაღნარს ერთ-
ბაშად მიუძღვნას თავისი სიყვარულით
აღსავსე სხივები...

ცის-კარი!..

შენ ვერ გააგებ მის ძლიერებას,
შენ ვერ მიხვდები მის მშვენიერებას,
რადგანაც დილით ძილი გიყვარს და
უმშვენიერეს დროს ძილში ატარებ.

ცისკარი!..

იგი მშვენიერია და მე ყოველთვის
სიხარულით მზად ვხვდები...

აღმოსავლეთით ცის-ფერი ფარდა
წამოიშლება თუ არა დილის მგალო-
ბელი ჩიტები გამოიფხიზლებენ და გა-
მართავენ ტბილ გალობას, ზეციურ
მუსიკას...

და გაისმის ხმა საუცხოო მუსიკი-
სა, სანამ სიყვარულით აღსავსე მზე
ხავერდოვან ყვავილებს კოცნით არ
დააშრობს ნამგალა მთვარისაგან და-
ნაღვარ ვერცხლისებურ ქათქათა ცვარ-
ნამს...

მაშ ნუღარ მკითხავ როგორია ცის-
კარი! დააღწიე დილით ძილს თავი და
შენის თვალთ იხილე მშვენიერება
ბრწყინვალე მომავლისა.

ნიკ. ასათნანი.

„მე-კი მაკატიოს!“

(ამბავი)

— ბიჭო, ტატე,— მიმართა ერთმა
ახალგაზრდა ჯარისკაცმა მეორეს,—
როდესაც ღვთის ვედრება დაასრულა,
—თუ ძმა ხარ, გვერდიდგან არ მომ-
შორდე,—თუ სიკვდილი გვწერია
დედ, ერთად მაინც დავხოცნეთ, რომ
ჩვენმა გვამებმა იგრძნონ ერთმანეთის
სიახლოვე... და... დასტკბენ იმითი
მაინც, რომ ერთი მიწისაგან არიან...
რადგან მათ არ ელირებათ სამშობლო
მიწაში განსვენება...

— ერ-ჰა!! რებას ბოდავ ბიჭო,—
შესძახა ამხანაგმა, თუმცა კი მის გულ-
შიც იგივე სევდა ტრიალებდა,—რა
დროს სიკვდილი?... განა ღერითი ისე
გაგვწირავს, რომ ერთხელ კიდევ მაინც
არ ვნახოთ ჩვენი ძვირფასი ქვეყანა?!

— ჰაი... ჰაი... მაგრამ... ნეტაი კი
ველირსოთ კიდევ და,— ნაღვლიანად
წარმოსთქვა ახალგაზრდა ჯარისკაცმა,
—ოჰ,— რომ იცოდე, ტატე, რა რიგ
მწყურია ჩემი ქვეყნის ნახვა... მინდორ
ველი... მოღუდუნე მტკვარი... და...—
მაგრამ აქ ყმაწვილის გულმა ყელარ
შეუძლო მოწოლილ სევდას, თვალე-
ბიდან ცრემლები გადმოსცვივდა და
სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა...

— ოჰმე!— ბეჩავო ჩემო თავო,— რა
ღიაცივით აწრიპინდი?— შეჰყვირა მე-
ორემ და თან მეგობრის გასამხნევებ-
ლად წარმოსთქვა: „შიში ვერ იხსნის
სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“
— მაგრე რამ შეგაშინა?!

— არა, ტატე, ძალიან სცდები,
შენ არ იფიქრო, რომ სიკვდილისა მე-
შინოდეს, ყველა ჩვენგანი მისი შეი-
ლია... შიში ღიაცივს წესია, მე კი ეს
სახელი არ დამიმსახურებია,— ნენანება
მხოლოდ საყვარელი ქვეყანა... მინ-
დორ-ველი... და...

— შენი ცუკრუმელა ნანო,— გაე-
ხუმრა ტატე.

— დახ, ისიც,— განაგრძო ყმაწვი-
ლმა და თან საშინლად გაწითლდა
სირცხვილისაგან,— მაგრამ უფრო სხვა
რამ მაფიქრებს და ჰქენჯნის ჩემს
გულს..

— მაინც რა?! შეეკითხა ცნობის-
მოყვარეობით ტატე.

— რა?!.. ისა, ჩემო ტატე, რომ
შენც და მეც დიდი დანაშაული მი-

გვიძღვის სააშობლო წინაშე... ეს მა-
ფიქრებს და არ მინდა ვალმოუხდე-
ლი მოვკვდე...

— როგორ?! რა დანაშაული?!—
გაკვირვებით იკითხა ტატემ და უფრო
ახლო მივრდა ახალგაზრდა ჯარისკაც-
თან...

— რა დანაშაული?! რამდენჯერ
ჰქონია გასაქირი ჩვენს ქვეყანას... რამ-
დენჯერ დასტკბებია ჩვენი თავი...
რამდენჯერ დაუჩხავლია შავს ყორანს
ჩვენს თავზედ, რომელიც ეხლაც არ
გვშორდება?... მაგრამ, ჩვენ ყოველ-
თვის მოვრიდებდით... დიახ, მოვ-
რიდებდით და ღიაცივით თვალი
აგვირიდებია. აქ-კი უცხო მხარეში,
უმინით, ანგაროშ მიუტყემლად.. სისხლს
ვღვრით... რისთვის? ვისთვის? აი ჩემი
ფიქრები და ნაღველი...

ტატე ამ სიტყვებმა ღრმად ჩააფი-
ქრეს... მის გულში სევდამ გაიღვიძა,
რასაც ამტკიცებდა მისი სახის გამო-
მეტყველობა... მას თვალ წინ წარმო-
უდგა თავისი სოფელი, იქ გაშვებულ-
ლი ტანჯვა-ვავება, უსამართლობისაგან
აწიოკებული ოჯახები... მაგრამ ტატეს
სახლში ხელიც არ გაუჩხრავია მტრის
წინააღმდეგ. წამებულისთვის ნუგეშიც
კი არ უცია... ოჰ,— საძაგელო ჩემო
თავო... ფუ... ფუ... რა კაცი ვარ...
ღიაცივ კი მჯობნებია... ფიქრობდა
ტატე.. და თან საშინელი ოხვრა სკდე-
ბოდა გულიდგან...

ორთავე ამხანაგი ასეთ ფიქრებ-
ში იყვნენ, რომ უეცრივ გაისმა გუ-
ლის გამხეჩკვი, შემზარავი ხმაურო-
ბა... ასტყდა ზარბაზნების ქეჭა-ქუხი-
ლი და თოფის ტყვიების ზუზუნია...
ამას მოჰყვა ადამიანთა ყიჟანა, და
ორი შოპარდაპირე ერთმანეთი ეკვეთა
ხიშტებით, და სულ ცოტა ხანში რაფ-
დენივე ჯან-ღონით სავსე ადამიანი
გამოასალმეს წუთი სოფელს... ბრძო-
ლის კოცონი მწვავდებოდა... ახალ-
ახალი მსხვერპლი იწირებოდა... სის-
ხლის მორევი გუბდებოდა... ჰაერში
გაისმოდა იარაღის ჩხაკა-ჩხუკი.— ამას
უერთობოდა ადამიანთა წყევლა-კრუ-
ლვა, ოხვრა, ვაება... უკანასკნელი
ამოძახილი მომაკვდავისა... და შემზა-
რავა ხიხითი შემოილთა...

აგერ ერთ პატარა ფერდობზედ
რამდენიმე კაცი გამოჩნდა და მტერ-
თა დიდ ძალას ეკვეთა... დაჰკარით,—

გაისმა ბრძანება და მანქანის მზგავსი ადამიანები ეკვეთნენ ბრბოს... იქაურობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა... ღამის წყვილია და ყველანი თავის კალთაში გაახვიან... აღარაფერი სჩანდა... მხოლოდ ისმოდა გულგამგმირავი დაქრილთა ტკივილებსაგან ყვირილი...

მორჩა... იმ ადგილას აღარაფერი სჩანდა...

მხოლოდ ორი მოპირდაპირე დაჩენილიყო... და გაშტერებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ... მზათ ჰქონდათ ხიშტები... ერთი ნაბიჯი და... ორთავენი ძირს გაგმირულნი დაეცემოდნენ... დიდხანს იდგნენ ასე... გაჩუმებულნი და თვალებით საუბრობდნენ. რათა? რა დაგიშავებ?... და ასეთ მდგომარეობაში ველარ მოეხერხებინათ ერთმანეთს დაშორებოდნენ, რომ უეცრივ გაისმა ძახილი...

— მიხო!.. არ დაჰკრა, მტრისათვის შეინახე შენი სიცოცხლე... — ამის გაგონებაზედ ყმაწვილი ჯარისკაცი შეკრთა. თოფი ძირს გადისროლა და იქით გაქანდა, საიდანაც ხმა მოისმოდა...

— ტატე, ტატე, — რა მოგვლია, — შესძახა მიხომ, — როცა თავისი ამხანაგი ძირს დედამიწაზედ დაინახა დაქრილი... მიფორთხავდა.

— მიხო, მიხო, მი...ხო, — გაისმა დაქრილის ხმა, რომელსაც ეტყობოდა სააქაოდ აღარ ჰქონდა პირი, — მი...მე... ციფი...ცი, რო...მი იქ სა...მი...შო...ბლო...ში იბ...რ...ძოლ...ებ... მტ...რის წი...ნა...აღ...მდეგ... იქ... ჩემ...ს...ავით არ... შოი...ქ...ციფიიი...

მიხო მიხვდა, რომ ტატეს აღარ ეშველებოდა და საშინელი ქვითინი ამოსკდა გულიდგან... მუხლი მოიდრიკა და გულმხურვალედ შეჰფიცა... ვფიცავ... ვფიცავ, — თუ ცოცხალი დავბრუნდი, გმირულად მოგვკვდე მის დაცვაში...

— გმა...დლო...ბ...მე...ქ...ი მა...პა...ტიოსს...

უკანასკნელად ჩაილულულა მომაკვდავმა და სამუდამოდ გაშორდა ამ მუხთალ წუთი სოფელს... მხოლოდ მიხო მწარედ სტიროდა დაკარგულ მეგობარს... მხოლოდ ცოტა მოშორებით მუხლ-მოდრეკილი იდგა და ქვითინებდა წუთის წინედ ხიშტით ხელ-

ში მოპირდაპირე მტრად წოდებული ადამინი... იგი სტიროდა არა როგორც მეგობარს... არამედ ვერ გამოცნო გამოცანა მათი მტრობისა, რომელიც დღესაც საიდუმლოა...

ვ. საათაშვილი.

სხოვკაბის ეპოეგი ვინ ვარ?!..

საკვირველია!.. მხრებს, ბეჭებს ვინჯავ, ფრთები არ მაქვს, მე კი ვფრინავ... ნეტა თუ რა ძალა მიტაცებს, როგორ მივსრიალებ ასე გაჩქარებით სულ მაღლა, მაღლა — ღრუბლებსაკენ?.. გახარებული მივფრინავ და ხარბად ვისუნთქავ ზეცით მონაბერ სუფთა ჰაერს... ამ ყოფით დამთვრალს ვერც კი მომისაზრებია, თუ ვინ ვარ, საიდან მოველ, ან რა ჯადოქარმა ამიტაცა ზეცი?.. არა, არც მსურს გავგო ყოველივე ეს!.. აბა, რად მინდა დავუბრუნდე სინამდვილეს, ისიც, უეჭველია, მწარეს?.. არ მირჩევნია, ასე დავრჩე? არა ვიცოდე რა, ვილაღობო ჩემთვის, ვინტარო ჰაერის ოკეანეში და მზისგან სხივებისასროლმა ვილივლივო მის ანკარა ზვირთებში... ოო, როგორი ხიტურფე, სინაზე, სინარჩარე მომნიჭებია?! ტანზე მაცვია ბრკყვიალა სამოსი, თავს მიმშვენებს, ცელქ ნიავეთან მოთამაშე, ხუჭუჭი ოქროს ფერი ზილფები. ნაზად მოშვებულ ფეხ-მკლავ-მუხლებს, კეკლუცად რხეულ ტანს ყოველ მხრიდან მზრუნველობით მომწოდია ჰაერის აბურთული ზვირთები და სცილობენ შეუწუხებლივ ამიტანონ ზევით, წარმიტაცონ შორს... შორს... ზესკნელის გადუწვდენელ სივრცეში...

ნეტარებამ გადამრია. საზღვარი არ აქვს ჩემს ბედნიერებას. ეხლა მე უძლეველ, ღვთისგან რჩეულ, არსებად მიმაჩნია ჩემი თავი. უეჭველია, უხილავად ძლევანოსილების გვირგვინიც მადგია თავს!..

რაოდენი თვალწრპტაცი სანახობა მეშლება აქ თვალ წინ?..

არ ვიცი, საით მივიხედო, რას უფრო მივაშტერო ჩემი გაცეხული თვალები?..

— აგე, ძირს... შორს, ბუნდოვან

კორიანტელში მზისგან ჩასხივებული დედა-მიწა ბურთი, კუკუმეთ ჩრდილადვენებული, როგორც სისწრაფით მიდუღდუღებს, თან საკუთარ ღერძზე ტრიალებს და საოცნებოდ ათ მ.შებს იმავე ჩრდილს. იქ — იმ სიშორიდან ათი-ათასნაირ ბგერათა შერეული ხმაურობა მესმის და მასთან ხანდაზმით დედა-მიწის ამოხვეწვა-გმინვა. ამ სასომხდელ მოთქმაში შელესილა მძიმე ღ აუტანელი ნალველ-ვარამი.. ცხადია, იგი ადამიანის ბუნაგიდან მოისმის და არის მისი საერთო ტანჯვა-ვაების გამოჰსახველი... ვერ გაუძელ ამ მწარე და საშინელ გმინვას... გული ამიჩუყდა, მარგალიტი ცრემლები გადმოვყარე...

ხმებით დანწუხებულმა ძალა ვიხმარე, ოდნავ ფეხის ცერები დავაჭირე ჰაერის მოწოლილ ბურთებს და მათ სხლეტით ამიტაცეს მაღლა... ძლიერ მაღლა. ღრუბლებში შევარიალდი. კარგა იგშორდი დედა-მიწას, მალე იგი თვალთაგან მიმეშალა. აღარც მესმოდა ის საზარელი გოდება...

მივიხედ-მოვახედე დამშვიდებულმა. დაეინ ხე მთვარე და უამრავი მიმსრიალ-მომსრიალე ვარსკვლავი. ზოგი ჩამქრალა მზის სხივებს ეთამაშება, ზოგი ენთება, დალაპებს, მხუის ომხივარ ადენილი, ყველა კი ერთად დედა-მიწასავით შფოთვით და ხმაურობით ბრმად ასრულებს ბედისწერისაგან დანაკისრს საქმეს...

ზესკნელის უუმწვერვალე სიშორეზე ყოველნაირ ბგერათა ხმაურობა უკვე პარმონიულად ხმატკბილდება და გადუწვდენულ სივრცეში დიდებულ სიმფონიად გაისმის.

ამ წარმტაც ხმებით მოხიბლულს გიშრის თვალები მიმელულა, ფუნჩულა სახეზე აღმებეჭდა ნეტარება, ვით გაზაფხულის პირველი ღიმი...

ნაზად მოშვებული, მივფრინავ დინჯად და თან ესტკებები გრძნეულ მუსიკით...

დიდხანს ვისრიალე, ვილივლივე ჰაერის ანკარა ზვირთებში. უცებ გაისმა საზარელი ხმაურობა, თითქო ძალუმი ტეკა-გრგვინვა. შეშინებულმა წამოვიწიე, გავახილე თვალები და კარგა შემორებით დავინახე, ომხივრის სქელ ბუქში გახვიული, ცეცხლის კოცონი,

ანუ მზე, რომელიც აწვეწველი ხმაურობით, ტეკით, გრგვინვით, ელვის სისწრაფით მისრიალებდა და გავარვარებული საკუთარ ღერძზედაც ტრიალებდა.

კარგა ხანს ვიფრინე მისგან ჩაისრულმა. მასაც აუხსლტი, მოვშორდი და ველარც კი ვხედავდი. შემდეგ მივადექ რალაც საზღვარს, სადაც მოსჩანდა შავი და ბნელი უფსკრული. ცნობის მოყვარეობამ დამძლია: ძლიერ მომინდა გამეგო, თუ რა იყო ამ უფსკრულში, რა ახალი ნეტარება მევლინებოდა იქ?.. ტანი მთელი სიმძიმით ნაზად გადავხარე უფსკრულისკენ. ერთბაშად გამშორდენ ჰაერის მოწოლილი ზვირთები და მე ტყვიასავით ჩავეშვი წყვილიადში... ოხ, რა საშინელება!.. დაუსრულებლივ ვეშვები, ვეშვები სადაც — უძირო სივრცეში... ყირამალა მიმსრბოლს გული მეღვევა, თითქო მეღება... აი!.. აი!.. საცაა რასმეს წავწყდები!.. ვაი!.. ვაი!.. ხელებს, ფეხებს უაზროდ ვიქნევ, რალაცას ვიგერიებ... უეცრად ბუხ!.. დავციო... თვალბა გავახილე. ჩემი ოთახის იატაკზე გვედე წამომჯდარი... მივხედი, რომ ეს სულ ფუჭი სიზმარი ყოფილა და მე საწოლიდან გადმოვარდნილვარ.

ვცდილობ ახლა წამოვიწიო, ავდგე როგორმე, რსევ ლოგინში ჩავწვე, მაგრამ ვერ ამდგარვარ: ხნოვანობით დაუძლურებული სხეული არ მომდგეს...

სასომხდლილმა ხვნეშით მივიხედე უკან. იქ თვალების ტყეტით საწოლიდან გადმომყურებდა ჩემი ბობოქარი ცოლი. შეეკრთი. უფ! რა საზიზღარი სანახავი იყო იგი ამ დროს — კბილებგამოღებული და თავიდან პარიკ მოხდილი!.. მოშველებს მაგიერ ეს ბებერი ჯოჯო დამლრიალებდა:

„ძილშიაც მოსვენება არ მაქ შენგან, შე ბებერო ყურყურტავ!.. აშავდი, საწოლზე დაგდე!“

— აი, თურმე ვინ ვყოფილვარ!..

ოი, მოშხამულო სინამდვილე!

ძლივ ძლივობით წამოვდექ და კრუსუნით ლოგინში ჩავწექ...

კ. დოდაშვილი.



თბილისის რკ. გზის სადგურზე.